განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

04.02.2020

11.02.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მიკრობიოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიოლოგიის დოქტორი 0511
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეფსვერიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ნაკაშიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კონსტანტინე ებრალიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა - მიკრობიოლოგია - ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და ემსახურება კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. სადოქტორო პროგრამის მიზანია პროფესიული ცოდნის გაღრმავება მიკრობიოლოგიაში, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს შეძლოს, როგორც პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის წარმატებით წარმართვა. პროგრამას აქვს მხარდაჭერა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან და ეხმიანება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო ტენდენციებს, ისევე როგორც დარგის, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებსა და საჭირობებს. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას კავშირი აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან. პროგრამის კურიკულუმი მთლიანად არის განახლებული, აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით და მოქნილია, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს კვლევითი ინტერესების შესაბამისად ინდივიდუალურად დაგეგმოს საკუთარი განათლება. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა ესადაგება სწავლების მერვე საფეხურს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს შეუსაბამობა ცალკეული საგნების სილაბუსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს შორის. უნივერსიტეტში არსებობს დარგთან დაკავშირებული სპეციალიზაციის ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია პრაქტიკული უნარების განვითარება, მაგრამ დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებისთვის აუცილებელია დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება და ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სტუდენტები ისე აკადემიური პერსონალი ნაკლებად აქტიურობს საგრანტო პროექტების მიმართულებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების დიდ ნაწილს ხანგრძლივი აკადემიური მოღვაწეობის გამოცდილება აქვს. პერსონალის განათლება და სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 6 აკადემიური და ორი მოწვეული პერსონალი. პროგრამას (2018 წელს აკრედიტაციის გაუქმებიდან გამომდინარე) ყავს სტატუსშეჩერებული ათამდე დოქტორანტი, რომელთა დაკავშირებითაც არ არის გაწერილი ნათელი სამომავლო სტრატეგია. აკრედიტაციის გაუქმების შემდეგ, ექსპერტების რეკომენდაციები მეტწილად გათვალისწინებულია. თუმცა დღის წესრიგში დგას ბიუჯეტის სრულყოფილად და ნათლად გაწერის საკითხი. ასევე გასამართია სტუდენტების ელექტრონული ბაზა. უნივერსიტეტი გარდა გარე ექსპერტული შეფასებებისა იყენებს შიდა შეფასებასაც. პროგრამის განახლების პროცესში მოხდა ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში ანალოგიური რამდენიმე პროგრამის კურიკულუმების გაცნობა და მათი გამოცდილება გაზიარებული იყო საქართველოს რეალობის გათვალისწინებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 04.02.2020-ს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსში. ვიზიტმა კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა. ვიზიტი

მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელებთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორთან; სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან /თანახელმძღვანელებთან; სტატუსშეჩერებულ დოქტორანტებთან; პროგრამის კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ვიზიტის დროს გვქონდა საშუალება გვენახა დაცული სადოქტორო დისერტაციები და დაგვეთვალიერებინა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მიკრობიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიები, სალექციო აუდიტორიები და ბიბლიოთეკა).

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის სტანდარტებიდან და ქვესტანდარტებიდან არცერთი არ შეფასებულა როგორც შეუსაბამო მოთხოვნებთან. სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა და სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ქვესტანდარტი 4.4 -პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - ერთადერთი ქვესტანდარტია, რომელიც შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. რაც შეეხება დანარჩენ სტანდარტებს, სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა და სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, კი შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსი/გეგმა, ისევე როგორც შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან
  - სადისერტაციო ნაშრომის (როგორც პროგრამის მთავარი შედეგის) სილაბუსი/გეგმა გაიწეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების განახლებული მოთხოვნების შესაბამისად და აისახოს ის ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რაც სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აუცილებლად უნდა ჩამოუყალიბდეს.
  - საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უმაღლესი განათლების კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან.
  - დამატებითი რესურსების მოსაძიებლად სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მეტი წახალისება და მხარდაჭერა საგრანტო პროექტების წადგენის თვალსაზრისით.
  - უნდა შემუშავდეს ელექტრონული ბაზა დოქტორანტებისთვის.
  - განთავსდეს მიკრობილოგიის სადოქტორო პროგრამა სსუ-ს ვებგვერდზე https://www.sou.edu.ge

- პროგრამის ხელმძღვანელები და ძირითადი პერსონალი უნდა გააქტიურდეს გრანტების მოპოვების კუთხით და წაახალისოს დოქტორანტები ამ მიმართულებით.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ინტენსიურად უნდა ფოკუსირდეს ინტერნაციონალიზაციაზე.
- უნდა მოხდეს სტუდენტების ელექტრონული ბაზის გამართვა და დახვეწა.
- უნდა განხორციელდეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის მატერიალურ - ტექნიკური სრულყოფა.
- ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ნათლად უნდა გაიწეროს.
- ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მეტი რესურსი უნდა გამოიყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.
- შიდა ხარისხის სამსახურმა ეფექტურად უნდა გამოავლინოს პროგრამის დამუშავების დროს დაშვებული ხარვეზები და იზრუნოს მათ აღმოფხვრაზე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია ბიოსტატისტიკის სასწავლო კურსის შინაარსში გათვალისწინებული იქნას, კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამების სწავლებაც, რაც მონაცემების სტატისტიკური დამუშავების დროს შრომატევად სამუშაოს კიდევ უფრო გაამარტივებს.
  - ნათლად გაიწეროს სტატუსშეჩერებული დოქტორანტების სტრატეგია.
  - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად სასურველია მიეთითოს საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების მინიმალური იმპაქტ ფაქტორი (თუნდაც 0.5).
  - გამოკითხვებით მიღებული შედეგების კუმულაციური ანალიზი უფრო ეფექტურად უნდა გავრცელდეს პროგრამაში მონაწილე პერსონალს შორის (მაგალითად ელექტრონული ბაზის საშუალებით).
  - გარე შეფასებები (არა მხოლოდ აკრედიტაციის მიზნით) უნდა განხორციელდეს რეგულარულად, გონივრულ ვადებში და სხვადასხვა ექსპერტის მიერ. შეფასების დოკუმენტები სასურველია დადასტურებული იყოს ხელმოწერითა და ბეჭდით.
  - სასურველია გააქტიურდეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებში ჩართულ პერსონალთან ინტენსიური პროფესიული ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც დოქტორანტებს როგორც სწავლის პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგ განვითარების მეტ შესაძლებლობებს მიცემს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- წინა აკრედიტაციის ექსპერტების შენიშნვა გათვალისწინებულია უცხო ენის გამოცდასთან დაკავშირებით. კერძოდ მისაღებ გამოცდაზე ძირითადი მოთხოვნაა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.
- სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობები გონივრულადაა განაწილებული და შეესაბამება კურსის შინაარსს; ასევე განახლებულია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალიც.
- არის პროგრესი სასწავლო კურსების (სავალდებულო და ძირითადი) შერჩევისა და ლიტერატურის განახლების თვალსაზრისით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, მიზნებს, სტრატეგიას და ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობაზე, ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე. მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლადაა ფორმულირებული, რეალისტურია და მიღწევადია. კერძოდ, სადოქტორო პროგრამის მიზანია პროფესიული ცოდნის გაღრმავება მიკრობიოლოგიაში, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს წარმართოს როგორც პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობა. სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების სქემის მიხედვით პროგრამამ უნდა მოამზადოს ცოდნის, უნარებისა და პასუხიმგებლობა და ავტონომიურობის კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებული, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსში, ასევე არცერთი სავალდებულო თუ არჩევითი საგნის სილაბუსში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგი არ ფიგურირებს (იხ. 1.2). თვითშეფასების მიხედვით პროგრამას ექნება მნიშვნელოვანი როლი დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ტენდენციები, ისევე როგორც დარგის, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნები და საჭიროებები. შეხვედრისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა მეცნიერების განვითარების სტრატეგიულ მნიშვნელობას საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. უფრო მეტიც, ადმინისტრაცია სადოქტორო პროგრამების (მათ შორის მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამის) განხორციელების აუცილებლობას, როგორც უნივერსიტეტისთვის, ისე ქვეყნისთვის (მათ შორის ქვეყნის მთლიანობის აღდგენის საკითხში) პრიორიტეტულ საკითხად განიხილავს. შესაბამისად, ადმინისტრაცია ადასტურებს მხარდაჭერასა და მზაობას სადოქტორო პროგრამისადმი, მითუმეტეს, რომ

აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტს ჰყავს პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრები.

მიკრობიოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის თვითშეფასებაზე თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით პროგრამას აქვს გარკვეული წარმატებები, კერძოდ, დაცულია 3 სადოქტორო დისერტაცია (რომლის ფარგლებშიც გამოქვეყნებულა სამეცნიერო პუბლიკაციები უცხოურ და ქართულ რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში გამოქვეყნებულია კვლევითი ნაშრომი Virology Journal-ში (WOS მაღალი იმპაქტ ფაქტორით). პროგრამას შეაქვს გარკვეული წვლილი დარგისა და საზოგადოების განვითარების საქმეში. კერძოდ, კურსდამთავრებულები უკვე მუშაობენ შესაბამისი პროფილის ლაბორატორიებში, რაც წარმოადგენს ასევე პროგრამის წარმატების მნიშვნელოვან ინდიკატორს, რამეთუ აღნიშნული დარგის განვითარება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა აღნიშნულისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგის თანამედროვე მოთხოვნებზე ფეხის აწყობა, რის მზაობაც ნათლად იგრძნობა პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების დროს. მითუმეტეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელების სამეცნიერო გამოცდილება (მათ შორის პატენტები და სამეცნიერო ნაშრომები რეფერირებად იმფაქტფაქტორიან ჟურნალებში) იძლევა პროგრამის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას კავშირი აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან. ინტერვიუების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები, რასაც ადასტურებს დამსაქმებლების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში (შეხვედრის ოქმები და ინტერვიუები). კერძოდ, დამსაქმებლებიდან თვითშეფასების შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სურსათის კვლევის დეპარტამენტის, (დასტუდება ოქმებით: #2,3,4,5 და 6), სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის განყოფილების (ოქმი# 2, 3 და 6) და ივ. ბერიტაშვილის ბიომედიცინის ცენტრის რადიოლოგიის ლაბორატორიის (ოქმი #2,3 და 6) წარმომადგენლები.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი უპირობოდ უჭერს მხარს განათლების ინტერნაციონალიზაციას (იხ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერანციონალიზაციის პოლიტიკა). თვითშეფასების დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების დროს ირკვევა, რომ უსდ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში გააძლიერებს საერთაშორისო კავშირებს. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში მათ უკვე შეუძლიათ ერთი დოქტორანტი გაუშვან გაცვლით პროგრამაში მიკრობიოლოგიის მიმართულებით. დაგეგმილია გარკვეული ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის გაფართოებისა და გაძლიერებისათვის.

რაც შეეხება პროგრამის მიზნების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ხარსიხის სამსახურის ხელმძღვანელმა დაგვიდასტურა, რომ აკრედიტაციის შემთხევაში უზრუნველყოფილი იქნება მისი ხელმისაწვდომობა. პროგრამა გაზიარებულია სხვადასხვა ჯგუფთან და პროგრამაში ჩართული ყველა ჯგუფი კარგად იცნობს პროგრამას.

სტატუსშეჩერებული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა დაეხმარა, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში. ინტერ-

ვიუების დროს ასევე გამოიკვეთა პროგრამის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მაქსიმალური ხელისშეწყობა სტუდენტებისადმი. სტატუსშეჩერებულმა დოქტორანტებმა ერთხმად დაასტურეს, რომ იცნობენ განახლებულ პროგრამას და აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, ისინი მზად არიან გააგრძელონ სადოქტორო პროგრამაზე სწავლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია ○ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018 – 2025 ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სტრუქტურა ○ ინტერვიუები (დაწესებულების ხელმძღვანელებთან, სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებელებთან, სტუდენტებთან).
რეკომენდაციები: სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსი/გეგმა, ისევე როგორც შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგეგები ორიენტირებულია, როგორც პედაგოგიური, ისე კვლევითი უნარების მქონე მიკრობიოლოგიის დოქტორის მოზადებაზე, რაც შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებისა და შემდგომში მისი კარიერული ზრდის საწინდარია; სადოქტორო პროგრამა გაზომვადი და მიღწევადია და შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ბაზრის მოთხოვნებს. დამსაქმებლებთან/პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუების დროს ჩანს, რომ იცნობენ აკრედიტაციის გაუქმებამდე არსებულ და განახლებულ პროგრამებს. აღნიშნავენ, რომ პროგრამამ თავისი შედეგი უკვე გამოიღო და ყავს კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები. კურსდამთავრებულების შემთხვევაში პროგრამამ უზრუნველყო იმ ძირითადი საჭირო უნარების განვითარება, რაც აუცილებელია მკლევარისთვის (მოჰყავთ კონკრეტული მაგლითები); აღნიშნავენ, რომ მათ ასევე შეძლეს წარმატებით დამკვიდრება პედაგოგიური მიმართულებითაც. რაც შეეხება განახლებულ პროგრამას, მათი თქმით პროგრამა კიდევ უფრო გაუმჯობესებულია. თვითშეფასების დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუებიდან იქმენება შთაბეჭდიელბა, რომ პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. პროგრამის გავლის შემდეგ ჩამოყალიბებული უნარები, საჭიროების შემთხვევაში, იძლევა შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს. პროგრამის შემუშავებაში ჩანს ყველა დაინტერესბული მხარის აქტიური მონაწილეობა, რაც დასტურდება თანდართული დოკუმენტაციით (თვითშეფასების ოქმებით) და ინტერვიუირებით. ასევე, პროგრამაში ჩართული პირები მზად არიან უზრუნველყონ დაინტერესებულ პირთათვის სწავლის შედეგების გაცნობა. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამას იცნობს, როგორც აკადემიური ასევე მოწევეული პერსონალიც. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები მნიშვნელოვნადაა გათვალისწინებული. კურიკულუმი მთლიანად არის განახლებული, აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით და მოქნილია, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს ინდივიდუალურად დაგეგმოს საკუთარი განათლება კვლევითი ინტერესების შესაბამისად. სავალდებულო საგნათა ჩამონათვლი მაქსიმალურად მორგებულია პროგრამის მიზანს. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტებიდან, პროფესორის ასისტირება უზრუნველყოფს სტუდენტის (დოქტორანტის) მონაწილეობას სწავლებისა და კვლევასთან დაკავშირებულ პროცესებში. სასწავლო კომპონენტში ჩართულია სემინარებიც. სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში გამოყენებითი ბიოსტატისტიკის სასწავლო კურსის დამატება მნიშვნელოვანია მიღებული შედეგების სწორი ანალიზისა და სტატისიკურად სარწმუნო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად. მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამის აღწერის მიხედვით (*დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება #05/01 – 541, 8.08.2019)*) პროგრამის სწავლის შედეგები, მათი მიღწევის გზები და შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაცისთან და კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან (VIII დონე). მიუხედავათ აღნიშნულისა,

თვითშეფასებაზე თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არსებობს შეუსაბამობა ცალკეული საგნის სილაბუსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. კერძოდ, არცერთი საწავლო კურსის სილაბუსის, ისევე როგორც სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით არ ჩანს შედეგებში - პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა, მაშინ როდესაც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით (იხ. სადოქტორო პროგრამაში დანართი 3) სასწავლო კურსები მთლიანობაში უნდა გადიოდეს აღნიშნულ შედეგზე. დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტების საფუძველზე დასტურდება თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში პროგრამის კურსდამთავრებულების, სტატუსშეჩერებულ სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა და მათი სურვილების გათვალისწინება. მაგ. კოლოქვიუმების ამოღება შეთავაზებულია კურსდამთავრებული და სტატუსშეჩერებული სტუდენტების მხრიდან. დამსაქმებლისა და კურსდამთავრებული სტუდენტების სურვილი ასევე გათვალისწინებულია საგრანტო პროექტის დამუშავების ტექნიკის სასწავლო კურსის დამატების დროსაც. პროგრამაში ჩართული პერსონალი (აკადემიური და მოწვეული) იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის სამსახურის მიერ. პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარის (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავერბულები) აზრისა და დამოკიდებულების კვლევა ხდება წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილებები სწავლის შეფასების სისტემაში. გარდა აღნიშნულისა, პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი თვლადი და მნიშვნელოვანი ინდიკატორი კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და მათი კარიერული წინსვლის ანალიზია. შეხვედრებით დასტურდება ასევე პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმება, როგორც დარგის სამეცნიერო -კვლევითი, ისე პედაგოგიური მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ○ პროგრამის სწავლის შედეგები ○ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ თვითშეფასების სხდომის ოქმები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: სადისერტაციო ნაშრომის (როგორც პროგრამის მთავარი შედეგის) სილაბუსი/გეგმა გაიწეროს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების განახლებული მოთხოვნების შესაბამისად და აისახოს ის ცოდნა, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა რაც სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აუცილებლად უნდა ჩამოუყალიბდეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შინაარსში ზედმიწევნით გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; კერძოდ, სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი 051 ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში, 052 გარემოში, 0721 სურსათის გადამუშავებაში, 08 სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობაში, მეთევზეობაში, ვეტერინარიაში; უცხო ენის ცოდნას რაც შეეხება, აუცილებელი პირობაა B-2 დონეზე ინგლისურის ცოდნის დადასტურება შიდა გამოცდის ჩაბარებით ან B-2 დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენით. ასევე, კონკურსის შემთხვევაში, თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭება კონკურსანტის თანდართულ სამეცნიერო აქტივობებს (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო პუბლიკაციებს, სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობასა და სხვა), რომელთა დამადასტურებელი დოკუმენტი სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, ასევე უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას;

გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან (მათ შორის არის ინგლისური ენის ცოდნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოქტორანტის სწავლების პროცეშიც და ასევე საერთაშორისო კონფერენციებსა და რეფერირებად ჟურნალ(ებ)ში კვლევის შედეგების დისემინაციისთვის), სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ასევე მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურაც, თუმცა ქართულ ან ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად, რამაც არ უნდა შექმნას პრობლება იმ შემთხევაში, როცა სტუდენტს არ ექნება შესაბამისი კომპეტენცია რუსულ ენაში. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება ქვეყანაში და უსდ-ში მოქმედ კანონმდებლობას, და უზრუნველყოფილია სამართლიანობა, საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუსავების, დამრტიცებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) წინა აკრედიტაციის ექსპერტების შენიშნვა გათვალისწინებულია უცხო ენის გამოცდასთან დაკავშირებით. კერძოდ მისაღებ გამოცდაზე ძირითადი მოთხოვნაა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. რეკომენდაცია გათვალისწინებულია
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. ასევე შედგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით (დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება #05/01-326,12.10.2017). პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შესაბამისია სწავლების საფეხურისა (მერვე საფეხური); რაც შეეხება პროგრამის შინაარსს და სტრუქტურას, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შესაძლებელს ხდის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის შინაარსში გათვალსიწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. უნდა აღინიშნოს, რომ მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების მიხედვით კრედიტების რაოდენობა შეადგენს 180 კრედიტს (სასწავლო კომპონენტი 60 და სამეცნიერო კვლევითი -120). აღნიშნული შეუსაბამობაშია უმაღლესი განათლების კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან, რომლის მიხედვითაც სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ამოღებულია და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის

სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა. რაც შეეხება თვითშეფასების დოკუმენტს და პროგრამის სტრუქტურას, აქ ტექნიკური შეუსაბამობაა, კერძოდ თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს 9 კრედიტს, პროგრამის სტრუქტურის მიხედვით კი 18 კრედიტია. მიუხედავად ამ ტექნიკური უზუსტობისა, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მთლიანობაში პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურის კომპლექსურობა სწავლების საფეხურის შესაბამისია. გარდა ამისა, წინა აკრედიტაციის ექტპერტების რეკომენდაციები გათვალსიწინებულია და სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობები გონივრულადაა განაწილებული და შეესაბამება კურსის შინაარსს; კერძოდ, შემცირებულია სასწავლო კურსის კრედიტები (მაგ. სასწავლო კურსები ძირითადად 3, ან 6 კრედიტიანია). პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან ასევე გათვალისწინებულია სასწავლო კურსების განახლებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. კერძოდ, პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებს დაემატა გამოყენებითი ბიოსტატისტიკა, საგრანტო პროექტების დამუშავების ტექნიკა და სხვა სასწავლო კურსები. განახლებულია არჩევითი კურსების ჩამონათვალიც. პროგრამიდან კოლოქვიუმები მთლიანად იქნა ამოღებული. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაუბრებაზე დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს კურსდამთავრებულმა სტუდენტებმაც. ისინი ფიქრობენ, რომ კოლოქვიუმების მომზადებისთვის საჭირო დრო უკეთესია მოხმარდეს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; პროგრამა ეფუძნება დარგის თანამედროვე მიღწევებს; პროგრამა ასევე უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. თვითშეფასებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უსდ-ს ადმინისრტაცია, სტუდენტები (კურსდამთავრებული და სტატუსშეჩერებული სტუდენტები) და დამსაქმებლები. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ○ საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის სტრუქტურა ○ კურიკულუმის რუკა ○ ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უმაღლესი განათლების კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ქვეპუნქტთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები მნიშვნელოვნადაა გათვალის-წინებული, კერძოდ, სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობები გონივრულადაა განაწილებული და შეესაბამება კურსის შინაარსს; ასევე განახლებულია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალიც
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურ-სების სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების რუკას. კერძოდ, როგორც სავალდებულო, ისე ძირითადი კურსების სილაბუსებში არც ერთგან არ არის მითითებული სწავლის შედეგად - პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რაც პროგრამის სწავლის შედეგებში აღნიშნულია. უფრო კონკრეტულად, პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე მითითებულია, რომ სავალდებულო სასწავლო კურსებიდან 3 სასწავლო კურსი: (აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით), საგრანტო პროექტების დამუშავების ტექნიკა და მიკრობიოლოგიის თანამედროვე პრობლემები გადის აღნიშნულ კომპეტენციაზე, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებიდან 5 კურსი - მიკროორგანიზმთა გენეტიკური მრავალფეროვნება, ნიადაგის მიკრობიოლოგია, მიკროორგანიზმთა მოლეკულური ეკოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, სამრეწველო ეკოლოგია - ასევე გადის პასუხიმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციაზე, რაც არცერთი ზემოთ აღნიშნული საგნის სილაბუსში არ ფიქსირდება. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ტექნიკურ ხარვეზს ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება სასწავლო კურსების შინაარსსა და კრედიტების რაოდენობას, ის სასწავლო

კურსების სწავლის შედეგების შესაბამისია. საკონტაქო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობას შორის თანაფარდობა ადექვატურია და გამომდინარეობს სასწავლო კურსების სპეციფიკიდან; სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, სასწავლო შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისია. სასწავლო კურსების მიხედვით სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ესადაგება დარგის აქტუალური მიღწევებისა და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაცია და ლიტერატურა განახლებულია. პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული სასწავლო კურსების (სავალ-დებულო და არჩევითი) შესწავლა შესძენს დოქტორანტს თეორიულ ცოდნას, გამოუმუ-შავებს კვლევით და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რომელთა საფუძველზეც სტუდენტი შეძლებს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით და შემდგომ მის საჯარო დაცვას. შემუშავებულია სადისერტაციო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი ყველა კომპონენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ კურიკულუმის რუკა ○ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის სამსახურის უფროსთან)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ბიოსტატისტიკის სასწავლო კურსის შინაარსში გათვალისწინებული იქნას, კომპიუტერული სტატისტიკური პროგრამების სწავლებაც, რაც მონაცემების სტატისტიკური დამუშავების დროს შრომატევად სამუშაოს კიდევ უფრო გაამარტივებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) წინა აკრედიტაციის შემდეგ იგრძნობა მნიშვნელოვანი პროგრესი სასწავლო კურ-სების (სავალდებულო და ძირითადი) შერჩევისა და ლიტერატურის განახლების თვალსაზრისით.

შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. დოქტორანტის მომზადებაში ძირითადია სადისერტაციო ნაშრომის მომზადება. სასწავლო სილაბუსებში პროგრამის პრაქტიკული კომპონენტები ორგანიზებულია, როგორც სავალდებული ისე არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში. სამეცნიერო-კვლევით და საშემსრულებლებო უნარების, ისევე როგორც ტრანსფერული უნარების გამომუშავებას განსაკუთრებით შეუწყობს ხელს პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსების არსებობა, როგორიცაა, აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით), საგრანტო პროექტის დამუშავების ტექნიკა და გამოყენებითი ბიოსტატისტიკა. გარდა აღნიშნულისა, არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი მიცემს მათ შესაძლებლობას აირჩიონ კონკრეტული სასწავლო კურსები მათი საჭიროებიდან გამომდინარე. რაც შეეხება პროფესორის ასისტენტობას, ეს უკანასკნელი გაზრდის დოქტორანტის ჩართულობას, როგორც სასწავლო ისე კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებში შესაბამისად, მიმართულია სწავლებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებისკენ; არსებული რესურსები (მათ შორის უსდ-ს ბაზაზე არსებული: მიკრობიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიები) და მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან იძლევა იმის საშუალებას, რომ პროგრამამ სტუდენტების გათვალისწინებული რაოდენობით (მაქსიმუმ 3 სტუდენტი) შეძლოს განხორციელება. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც პერიოდულად აფასებს სტუდენტის საქმიანობას; პარტნიორ ოგრანიზაციებთან ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით რამდენიმე პროექტი არის განხორციელებული სტუდენტების მონაწილეობით. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების უმეტესობა აქტიურად

აგრძელებს სამეცნიერო მიმართულებით მუშაობას, რაც დასტურდება საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მათი მონაწილეობითა და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით (შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა სტუდენტების მხრიდან გასაუბრების დროს (ბეჭდური სახით). სტატუსშეჩერებული სტუდენტების რიცხვი საკმაოდ მაღალია (დაახლოებით 10). შეხვედრების დროს გამოვლინდა რომ როგორც პროგრამის პერსონალს, ასევე თითონ სტუდენტებსაც არ აქვთ ნათელი სურათი, სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის პირობებში, როგორ გაგრძელდება დოქტორანტების სწავლა და მოხდება სადოქტორო დისერტაციების დაცვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მიკრობიოლოგიის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა ○ ინტერვიუების შედეგები ○ სტუდენტების ავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები ○ სამეცნიერო კონფერენციები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ნათლად გაიწეროს სტატუსშეჩერებული დოქტორანტების სტრატეგია
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, და გამომდინარეობს კურსის შინაასიდან, შესაბამისად, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განსახორციელებლად გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ლექცია, ლაბორატორიული მუშაობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა. სწავლის აღნიშნული მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსიას, დებატებს, დემონსტრირებას, პრეზენტაციას და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი 100 ქულიანი მრავალკომპონენტიანი სისტემით, რომელიც მოიცავს: შუალედურ შეფასებებსა და დასკვნით გამოცდას. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე და შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, შუალუდური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის კომპონენტების გამოყენებით.

უნივერსიტეტის მოქმედი შეფასების სისტემა, ხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით. უსდ-ს შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი); შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. ცალკეულ სასწავლო სილაბუსში აღწერილია კონკრეტული შეფასების ფორმები და მეთოდები, რაც გამომდინარეობს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან.

სწავლის შეფასების მეთოდებს რაც შეეხება გამოყენებულია: ტესტი, მრავალი არჩევითი პასუხით; საწერი საკითხები, პრაქტიკული და ლაბორატორიული დავალებები, პრეზენტაცია.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, ეს უკანასკნელი ხდება სოხუმის სახელწიფო უნივერსიტისიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ბიოლოგიის საბჭოს დებულების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასებისათვის აუცილებელია გარე შემფასებლის მონაწილეობა. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა. ამდენად, სადოქტორო პროგრამა ახდენს სტუდენტის მიღწევების შეფასებას, შესაფასებლად კი გამოყენებულია შესაბამისი მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფაკულტეტის სადისეტაციო საბჭოს დებულება
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სილაბუსები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად სასურველია მიეთითოს საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების მინიმალური იმპაქტ ფაქტორი (თუნდაც 0.5)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების მიხედვით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მონაცემებს იღებს საინფორმაციო ტიპის შეხვედრებიდან, რომელსაც ატარებენ და მხარდაჭერას ახორციელებენ ფაკულტეტის შესაბამისი სამსახურები: სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური და ა.შ. მიკრობიოლოგიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა განთავსებული იქნება სსუ ვებგვერდზე https://www.sou.edu.ge/, ამის საფუძველს გვაძლევს სხვა პროგრამები, რომლებიც განთავსებულნი არიან საიტზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა გვქონდა შევხედროდით კურსდამთავრებულებს და იმ დოქტორანტებს, რომლებსაც შეჩერებული აქვთ სტატუსი, მათთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევებში და პროექტებში. უნივერსიტეტში 2009 წლიდან მოქმედებს გაცვლითი პროგრამები, როგორც ევროკავშირის დაფინანსებით ERASMUS+, ასევე პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

ლექტორებსა თუ ადმინისტრაციულ სამსახურებთან სტუდენტების კომუნიკაცია პირადი შეხვედრებით, ელექტრონული ფოსტით ან facebook-ით მიმდინარეობს. ზოგადად, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში საუკეთესო პრაქტიკა ელექტრონული ბაზის არსებობაა, აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მუშაობის პროცესშია, და ელექტრონული ბაზა სატესტო რეჟიმის ფარგლებში მოქმედებს, მაგრამ სადოქტორო პროგრამებზე არ არის დანერგილი.

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტისთვის ინდივიდუალური გრაფიკის შედგენა და კონსულტაციების გავლა ინტენსიურ რეჟიმში. აღნიშნული ასახულია აკადემიური პერსონალის საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში და ინტერვიუების დროსაც დაგვიდასტურეს სტუდენტებმა. ისინი აღნიშნავენ აკადემიური პერსონალის უშუალო დამოკიდებულებას მათ მიმართ და კონსულტაციების გაწევის მზაობას ნებისიმერ დროს.

მართალია უნივერსიტეტში არსებობს დარგთან დაკავშირებული სპეციალიზაციის ლაბორატორია, სადაც შესაძლებელია პრაქტიკული უნარების განვითარება, მაგრამ დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებისთვის აუცილებელია დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება. ფინანსური რესურესების მოძიების საუკეთესო საშუალება საგრანტო პროექტებში მონაწილეობაა, ამ მიმართულებით როგორც სტუდენტები ისე აკადემიური პერსონალი პასიური გახლდათ, მაგრამ მოწველ ლექტორებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება, რასაც ადასტურებს გამოცდილი სპეციალისტის მოწვევა და საგნის ,,საგრანტო პროექტების დამუშავების პრაქტიკის“ დამატება.

უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული ორგანიზაციებთან რომლებიც დამსაქმებლების როლშიც გვევლინებიან და კურსდამთავრებულებისა და სტატუსშეჩერებული დოქტორანტების ნაწილი მათთან უკვე დასაქმებულია. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ინსტიტუტების და ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც ნაშრომზე მუშაობის მდგრადობის ერთ-ერთი

ფუნდამენტური საფუძველია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის დებულება ○ უნივერსიტეტის ვებვერდი ○ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებთან. ○ ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების პროგრამები
რეკომენდაციები: ○ დამატებითი რესურსების მოსაძიებლად სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მეტი წახალისება და მხარდაჭერა საგრანტო პროექტების წადგენის თვალსაზრისით. ○ უნდა შემუშავდეს ელექტრონული ბაზა დოქტორანტებისთვის ○ განთავსდეს მიკრობილოგიის სადოქტორო პროგრამა სსუ-ს ვებგვერდზე https://www.sou.edu.ge
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური (მათი საქიანობიდან, თეორიული და პრაქტიკული ცოდნიდან გამომდინარე) ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელიც. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს დგინდება, რომ მათ რეგულარული კავშირი აქვთ ერთმანეთთან, ისინი კონსულტაციებს უწევენ სტუდენტებს, ეხმარებიან ადგილობრივ და საერთაშორისო ქსელში ინტეგრირებაში, მაქსიმალურად ეხმარებიან მათ სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებაში. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და მასთან დაკავშირებული პროცესის ამსახველი დოკუმენტები, რაც სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების და განვითარების მეთოდოლოგიის დადგენილებაშია გაწერილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან ○ სასწავლო კურსის სილაბუსი ○ პროგრამის და სამეცნიერი ხელმძრვანელების CV-ები ○ სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების და გავიტარების დებულება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების დიდ ნაწილს ხანგრძლივი აკადემიური მოღვაწეობის გამოცდილება აქვს. პერსონალის განათლება და სამეცნიერო ხარისხი შესაბამისობაშია სწავლის შედეგების მისაღწევად. სასურველი იქნებოდა პროგრამის მონაწილე ძირითადი პერსონალი და ხელმძღვანელები ბოლო წლების განმავლობაში უფრო მეტ სამეცნიერო პროექტში ყოფილიყვნენ ჩართულები. პროექტში მონაწილეობს უნივერსიტეტის 6 აკადემიური და ორი მოწვეული პერსონალი. ბალანსი უთუოდ იძლევა

პროგრამის მდგრადობის საფუძველს, თუმცა ხაზგასასმელია, რომ დოქტორანტებისთვის ძალიან კრიტიკული და მნიშვნელოვანი სავალდებულო საგნის წაკითხვა მოწვეული ლექტორის მიერ გარანტირებულად და შეუფერხებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვიზიტის დღეს ერთ მოწვეულ პერსონალთან (რომელიც პასუხისმგებელია ორი არჩევითი კურსის ჩატარებაზე) გასაუბრება ვერ მოხერხდა. პროგრამაში ჩართული პერსონალის ამჟამინდელი აკადემიური/სამეცნიერო დატვირთვა მათ შესაძლებლობას აძლევს პროგრამის განხორციელებაში მიიღონ მონაწილეობა. პროგრამა გათვალისწინებულია მაქსიმუმ სამი დოქტორანტისთვის და შესაბამისად აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტებთან მიმართებაში ადექვატურია. მითუმეტეს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სხვა ინსტიტუციებთან კოლაბორაციის დიდი ისტორია და მზაობაა, რაც პროგრამაში მონაწილე დოქტორანტებს შესაძლებლობას აძლევს ჰყავდეთ ხელმძღვანელთან ერთად თანახელმძღვანელიც. ყველა საგნის სილაბუსში მითითებულია, ძირითადი საკონტაქტო საათების გარდა საკონსულტაციო საათებიც. ინტერვიუების დროს სტატუსშეჩერებულმა დოქტორანტებმა და კურსდამთავრებულმა დაგვიდასტურეს, რომ აღნიშნული რეალურ პრაქტიკაში დანერგილი იყო. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაც აქვთ როგორც პედაგოგიური, ისე კვლევის ხანგრძლივი გამოცდილება. აქვთ პატენტები და ბოლო ათი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, მათ შორის რეფერირებად ჟურნალებშიც. პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელს (მეცნიერ-მკვლევარის პოზიციით) ბოლო დეკადაში სამ საგრანტო პროექტში აქვს მონაწილეობა მიღებული. პროგრამის ხელმძღვანელები, ისევე როგორც აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის შეფასება-განვითარებაში, რაც დასტურდება მათი რეგულაური მონაწილეობით სხდომებში. პროგრამის სტუდენტებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევენ ერთი მხრივ ფაკულტეტის ადმინისტრაციის და მეორე მხრივ სტუდენტთა პრაქტიკის და კარიერის სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურისა და სხვ. წარმომადგენლები
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ CV ○ პროგრამის აღწერა (უნივერსიტეტის დადგენილება #05/01 – 541, 8.08.2019) ○ პროგრამაში დასაქმებული პერსონალის სხდომების ოქმები ○ ფაკულტეტის დებულება ○ ადმინისტრაციული ერთეულების დებულებები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა *„დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე- განავითარე“* ციკლს ეფუძნება. მიმდინარეობს როგორც პერსონალის, ისე კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა, კითხვარები მოცემულია. მიღებული შედეგების კუმულაციური ანალიზი კეთდება, ანალიზის შედეგების პრეზენტაციას ახორციელებს ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი. პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს კონფერენციებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, თუმცა ნაკლებად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში. პროგრამის ოფიციალურ ბიუჯეტში მცირე თანხაა გამოყოფილი მივლინებებზე ქვეყნის გარეთ და შიგნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის დადგენილება #05/01 –20, 20.04.2012 ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ კითხვარები ○ შეხვედრები
რეკომენდაციები:

პროგრამის ხელმძღვანელები და ძირითადი პერსონალი უნდა გააქტიურდეს გრანტების მოპოვების კუთხით და წაახალისოს დოქტორანტები ამ მიმართულებით. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ინტენსიურად უნდა ფოკუსირდეს ინტერნაციონალიზაციაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გამოკითხვებით მიღებული შედეგების კუმულაციური ანალიზი უფრო ეფექტურად უნდა გავრცელდეს პროგრამაში მონაწილე პერსონალს შორის (მაგალითად ელექტრონული ბაზის საშუალებით)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტს აქვს სასწავლო აუდიტორიები და მიკრობიოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიები. მიკრობიოლოგიის ლაბორატორია უზრუნველყოფილია მიკრობიოლოგიური ბოქსით, ავტოკლავით, საშრობი კარადით, თერმოსტატებით, ბიორეაქტორით, pH - მეტრით, სასწორებით, დისტილაციისა და ბიდისტილაციის აპარატებით, ფოტოკოლორიმეტრებით, მუფელის ღუმელით, ამწოვი კარადით, მაცივრით, მიკროორგანიზმების რეფერენტული შტამების კოლექციით და სხვ. მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორია, უნივერსიტეტში ერთ-ერთი საერთაშორისო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა და უზრუნველყოფილია რეალურ დროში და კონვენციური პოლიმერიზაციულ ჯაჭვური რეაქციის აპარატურით, ცენტრიფუგებით, თერმოციკლერით, ელექტროფორეზით. აღნიშნული ლაბორატორიის

ხელმძღვანელმა დაგვიდასტურა მზაობა, რომ პროგრამის დოქტორანტებს ექნებათ წვდომა ლაბორატორიაში არსებულ ხელსაწყოებთან. პროგრამა ასევე იყენებს პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებს, აღნიშნულ დაწესებულებებთან გაფორმებულია მემორანდუმები. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოების დაბეჭდილი კოპიო ვერსიები. არის წვდომა საერთაშორისო ბაზებთან, რომლითაც პროგრამის ფარგლებში ჩარიცხულ დოქტორანტებს შეუძლიათ ისარგებლონ მაგ. Science Direct-თან. ჯერ-ჯერობით არ არის დოქტორანტებისთვის გამართულად ამუშავებული სტუდენტთა ელექტრონული ბაზა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვიზიტი ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი ○ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები ○ შიდა ექსპერტის შეფასება
რეკომენდაციები: ○ უნდა მოხდეს სტუდენტების ელექტრონული ბაზის გამართვა და დახვეწა. ○ უნდა განხორციელდეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოწოდებული იყო აკრედიტაციის მასალებთან ერთად თანდართული დოკუმენტის სახით, მოიცავდა პროგრამაში ჩართული პროფესორების ანაზღაურებას; პროფესორების დოქტორანტების სამეცნიერო მივლინებების, უნივერსიტეტთაშორისი და საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება/მომზადება კრებულების გამოცემის, ლიტერატურის შეძენის, საკანცელარიო საქონელის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა-განახლების თანხებსა და სხვა ხარჯებს. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ ხარჯები გათვლილია ერთ სასწავლო წელზე და მოიცავდა საკმაოდ დიდ თანხებს. ვიზიტის დროს მოვითხოვეთ ფაკულტეტის ბიუჯეტი და პროგრამის ბიუჯეტი ერთ სასწავლო წელზე გათვლით ოფიციალური ხელმოწერითა და ბეჭდით, ამის შემდეგ რადიკალურად განსხვავებული ბიუჯეტი და სურათი მივიღეთ. როგორც გვითხრეს, თანდართულ დოკუმენტში მექანიკური შეცდომა იყო დაშვებული და ბიუჯეტი გათვლილი იყო არა ერთ, არამედ სამ სასწავლო წელზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის ბიუჯეტი ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ პროგრამის ბიუჯეტი სააკრედიტაციო მასალების თანდართული დოკუმენტის სახით
რეკომენდაციები: ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ნათლად უნდა გაიწეროს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მეტი რესურსი უნდა გამოიყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასებას ახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამატებით მექანიზმად იყენებს შიდა შემფასებელს რომელიც არ არის პროგრამის მონაწილე და კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით ასრულებს პროგრამის შესწავლას. ხაზი უნდა გაესვას შიდა ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების კრიტიკულ მიდგომას. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და მიღებული შედეგების საფუძველზე ხარისხის სამსახური აკეთებს “SWOT” ანალიზს.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართულები იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტთა მომსახურების და რეგისტრაციის სამსახურის უფროსი, ბიბლიოთეკის წარმომადგენელი, საფინანსო სამსახურისა და პერსონალის მართვის სამსახურის წარმომადგენლები, დამსაქმებელი და კურსდამთავრებული. თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრები ოქმებით რეგისტრირდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ დაფიქსირდა შეუსაბამობა პროგრამაში შეთავაზებული საგნების სწავლის შედეგებსა და პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს შორის. ასევე, პროგრამა გაწერილი იყო 180 კრედიტიანი სისტემით, და არა ახალი მოთხოვნების შესაბამისად 60 კრედიტიანით, რაც შიდა ხარისხის სამსახურს პროგრამის მომზადების პროცესში უნდა გამოევლინა და გამოესწორებინა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ შიდა ექსპერტის დასკვნა ○ თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრების ოქმები ○ პროგრამის აღწერა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: შიდა ხარისხის სამსახურმა ეფექტურად უნდა გამოავლინოს პროგრამის დამუშავების დროს დაშვებული ხარვეზები და იზრუნოს მათ აღმოფხვრაზე
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

2018 წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის განხორციელდა შეფასება, რომლის შედეგადაც აკრედიტაციის საბჭოს 01.06.2018 წლის გადაწყვეტილებით (ოქმი #24) პროგრამას აკრედიტაცია გაუუქმეს. წარმოდგენილ პროგრამაში აღნიშნული გარე შეფასების დროს გაწეული რეკომენდაციები და რჩევები მეტწილად გათვალისწინებულია. გარდა ამისა პროგრამას განხორციელებული აქვს გარე ხარისხის შეფასება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან მოწვეული სფეროს ექსპერტის მიერ, რომელსაც ძალიან დადებითი დასკვნა აქვს მომზადებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის საბჭოს #24 ოქმი (2018 წელი)
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (შეფასების თარიღი 12.03.2018)
- თვითშეფასება
- გარე ექსპერტის შეფასების დასკვნა
- ვიზიტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გარე შეფასებები (არა მხოლოდ აკრედიტაციის მიზნით) უნდა განხორციელდეს რეგულარულად, გონივრულ ვადებში და სხვადასხვა ექსპერტის მიერ. შეფასების დოკუმენტები სასურველია დადასტურებული იყოს ხელმოწერითა და ბეჭდით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შეფასებისთვის უნივერსიტეტი იყენებს როგორც შიდა ისე გარე შეფასების მექანიზმებს, მათ შორის დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის გზით, კეთდება გამოკითხვების შედეგების კუმულაციური ანალიზი. უნივერსიტეტში პროგრამების შეფასება პერიოდულ ხასიათს ატარებს, რაც გამოკითხვის შედეგადაც დაგივდასტურეს. პროგრამის განახლების პროცესში მოხდა ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში ანალოგიური რამდენიმე პროგრამის კურიკულუმების გაცნობა და მათი გამოცდილება გაზიარებული იყო საქართველოს რეალობის გათვალისწინებით. თუმცა, გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართულ პერსონალს არ უცდია აღნიშნული უცხოური პროგრამების წარმომადგენლებთან კონტაქტის დამყარება. ეს კი, იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ფარგლებში საგრანტო პროექტების ნაკლებობა აღინიშნება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (შეფასების თარიღი 12.03.2018) ○ თვითშეფასება ○ გარე ექსპერტის შეფასების დასკვნა ○ კითხვარები ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია გააქტიურდეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებში ჩართულ პერსონალთან ინტენსიური პროფესიული ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც დოქტორანტებს როგორც სწავლის პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგ განვითარების მეტ შესაძლებლობებს მიცემს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ეკა ლეფსვერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
ირინა ნაკაშიძე

კონსტანტინე ებრალიძე